F-15472

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ე ს დ ე ბ ა

ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

მიღებულია ტ. ს. უ. საბჭოს მიერ 1935 წლის 19 ივნისს

დამტკიცებულია საქართველოს განათლების სახალხო კომისრის მიერ 1935 წლის 27 ნოემბერს

1952 წ.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ე ს დ ე ბ ა

ზოგადი დებულებები

1. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმყოფება საქართველოს ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და არის უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ამზადებს მაღალ კვალიფიკაციის სპეციალისტებს, მეცნიერ მუშაკებს და პედაგოგებს შემდეგ სამეცნიერო დარგებში: 1. მათემატიკა, 2. ფიზიკა, 3. ბიოლოგია, 4. ქიმია, 5. გეოლოგია, 6. მინერალოგია-პეტროგრაფია, 7. გეოგრაფია, 8. ლიტერატურა, 9. ფილოსოფია, 10. ისტორია, 11. ეკონომიკა და 12. სამართალი.

2. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუშაობს დაწესებულ სასწავლო გეგმის, სასწავლო რეჟიმის განაწესისა და წარმოებასთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე. ტ. ს. უ. მიზანია მიაწოდოს სოციალისტურ აღმშენებლობას კომუნისტურად აღზრდილი მაღალ კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებსაც მოეთხოვება თანამედროვე მეცნიერების საფუძვლების ცოდნა, თანამედროვე ტექნიკის მეცნიერული საფუძვლების დაუფლება, საბჭოთა მეურნეობის სისტემისა და მისი დაგეგმის ცოდნა, მიღებულ

ცოდნის გამოყენების უნარი სახალხო მეურნეობის სათანადო დარგში და უმაღლეს და საშუალო სკოლაში სათანადო სამეცნიერო დისციპლინების სწავლების საფუძვლების შეთვისება.

3. § 1 და 2-ში მოხსენებულთან ერთად ტ. ს. უ-ს ამოცანას შეადგენს სისტემატიური სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის წარმოება, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, კაბინეტების, კათედრების, ლაბორატორიების, ექსპედიციების, გათხრებისა და სხვა საშუალებებით როგორც დამოუკიდებლივ ისე სათანადო დაწესებულებებთან დაკავშირებით (სამეცნიერო აკადემიის ფილიალი, დარგობლივი ინსტიტუტები და სხვა).

4. სწავლების ვადა სადიპლომო შრომებისათვის განკუთვნილ დროის ჩათვლით განისაზღვრება: ფიზიკა-მათემატიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, გეოლოგ-გეოგრაფიულ ფაკულტეტებზე $5^1/_2$ წლით. ლიტერატურულ, ისტორიულ და ეკონომიურ ფაკულტეტებზე 5 წლით. სამართლის ფაკულტეტზე $4^1/_2$ წლით და მუშათა ფაკულტეტზე 4 წლით.

5. უნივერსიტეტში დაშვებულია აგრეთვე ექსტერნატი სპეციალურ დებულების საფუძველზე.

6. განსახკომის დასტურის საფუძველზე უნივერსიტეტს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით ჩამოაყალიბოს დაუსწრებელი სწავლების სექტორი.

7. დებულებებით გათვალისწინებულ ამოცანების, უფლებების და მოვალეობათა ფარგლებში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სარგებლობს იურიდიულ პირის უფლებებით.

8. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა და ფინგეგმა, რომელსაც ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი. უნივერსიტეტის

საღსრებს შეადგენს სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვით გადადებული თანხები და სპეციალური საშუალებები.

9. სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტებს აქვთ საკუთარი ხარჯთაღრიცხვები, რომლებსაც ამტკიცებს განსახკომი.

10. უნივერსიტეტთან არსებობს გამომცემლობა, უნივერსიტეტის პერიოდულ და მონოგრაფიულ სამეცნიერო შრომებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის უფლებით.

11. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს თავისი ბეჭედი ს. ს. ს. რ. ღერბით.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა

12. უნივერსიტეტის შემადგენლობაში არის შემდეგი ფაკულტეტები:

ა) ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი—მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკისა და გეოფიზიკის განყოფილებებითა და შემდეგი კათედრებით:

1. თეორიული მექანიკისა,
2. ანალიზისა,
3. დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვათა,
4. ალგებრისა და გეომეტრიისა,
5. თეორიული ფიზიკისა,
6. ზოგადი ფიზიკისა,
7. ექსპერიმენტალური ფიზიკისა,
8. გეოფიზიკისა,
9. ასტრონომიისა და გეოდეზიისა.

ბ) ქიმიური ფაკულტეტი—არაორგანიული, ორგანიული, ანალიტური, ფიზიკური და სასურსათო ქიმიების განყოფილებებითა და შემდეგი კათედრებით:

1. არაორგანიული ქიმიისა,
2. ორგანიული ქიმიისა,

3. ტექნიკური ქიმიისა,
4. სასურსათო ქიმიისა,
5. ფიზიკური ქიმიისა,
6. ანალიტიური ქიმიისა,

გ) ბიოლოგიური ფაკულტეტი—ბოტანიკური, ზოოლოგიური და ფიზიოლოგიური განყოფილებებითა და შემდეგი კათედრებით:
1. ფიზიოლოგიისა,
2. ზოოლოგიისა,
3. ბოტანიკისა,
4. ზოგადი ბიოლოგიისა.

დ) გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტი—გეოლოგიური, ნიადაგმცოდნეობის, ფიზიკური გეოგრაფიის და ქვეყანათმცოდნეობის განყოფილებებით და შემდეგი კათედრებით:
1. ფიზიკური გეოგრაფიისა,
2. გეოლოგიისა,
3. მინერალოგიისა,
4. ნიადაგმცოდნეობისა,
5. ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობისა,
6. ეკონომიური გეოგრაფიისა.

ე) ლიტერატურული ფაკულტეტი—ქართული, კავკასიურ, აღმოსავლურ, რუსული და ევროპული ენებისა და ლიტერატურის განყოფილებებით და შემდეგი კათედრებით:
1. ქართული ენისა,
2. აღმოსავლური ენებისა,
3. ზოგადი ენათმეცნიერებისა,
4. ძველი ქართული ლიტერატურისა და რუსთველისა,
5. ახალი და უახლოესი ქართული ლიტერატურისა,
6. რუსული ლიტერატურისა,

7. დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა,
8. სომხური ენისა და ლიტერატურისა,
9. თურქული ენებისა და ლიტერატურისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ლიტერატურულ ფაკულტეტთან არსებობს 3 წლიანი სპეციალური განყოფილება საშუალო სკოლისათვის რუსული ენის მასწავლებელთა მოსამზადებლად—რუსულ ენაზე სწავლებით.

ვ) ისტორიული ფაკულტეტი—ძველი, საშუალო, ახალი, ს. ს. რ. კ. ხალხთა და საქართველოს ისტორიის, ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ განყოფილებებით და შემდეგი კათედრებით:

1. ძველი ისტორიისა,
2. საშუალო საუკუნეების ისტორიისა,
3. ახალი ისტორიისა.
4. ს. ს. რ. კ. ხალხთა ისტორიისა,
5. საქართველოს ისტორიისა,
6. კავკას. და მახლობელ აღმოსავლ ისტორიისა,
7. წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიისა,
8. ფსიქოლოგიისა,
9. ფილოსოფიის ისტორიისა.

ზ) ეკონომიური ფაკულტეტი—თეორიულ-პოლიტ. ეკონომიის, საგეგმო, საფინანსო, საკრედიტო, სახალხო მეურნეობის აღრიცხვისა.და საბჭოთა ვაჭრობის განყოფილებებითა და შემდეგი კათედრებით:

1. სახალხო მეურნეობის დაგეგმისა,
2. სახალხო მეურნეობის აღრიცხვისა,
3. საქონელმცოდნეობისა,
4. ფინანსებისა,
5. კრედიტისა.

თ) სამართლის ფაკულტეტი—სასამართლო, სამეურნეო სამართლისა და შრომა-გასწორების განყოფილებებითა და შემდეგი კათედრებით:

1. სამართლისა და სახელმწ. თეორიისა,
2. სამეურნეო სამართლისა,
3. სისხლის სამართლისა,
4. სამართლისა და სახელმწ. ისტორიისა.

ი) ფიზიკური კულტურის განყოფილება (3 წლიანი).

კ) მუშათა ფაკულტეტი.

გარდა ზემოხსენებულ ფაკულტეტების კათედრებისა არსებობს საერთო საუნივერსიტეტო შემდეგი კათედრები:

1. პოლიტ. ეკონომიისა,
2. ეკონომიური პოლიტიკისა,
3. ს. კ. პ. (ბ) ისტორიისა,
4. დიალექტიკური მატერიალიზმისა,
5. ლენინიზმისა,
6. პედაგოგიკისა,
7. რუსული ენისა,
8. უცხო ენების საგნობრივი კომისია,
9. ფიზკულტურის საგნობრივი კომისია,
10. სამხედრო დისციპლინათა საგნობრივი კომისიები.

13. უნივერსიტეტის შემადგენლობაში არიან შემდეგი სამეცნიერო—საკვლევო ინსტიტუტები:

1. ფიზიკისა,
2. გეოლოგიისა,
3. გეოგრაფიისა,
4. ფიზიოლოგიის, ივ. ბერიტაშვილის სახელობისა,
5. ლიტერატურის, რუსთველის სახელობისა.

14. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მმართველობის ორგანოები

14. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო და სამეურნეო ხელმძღვანელობა ხორციელდება რექტორის მიერ

ერთმმართველობის პრინციპზე. უნივერსიტეტის რექტორი პირადად პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საქმიანობისათვის განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე.

15. უნივერსიტეტის რექტორი ინიშნება და თავისუფლდება თანამდებობიდან განათლების სახალხო კომისარის ბრძანებით.

რ ე ქ ტ ო რ ი

16. უნივერსიტეტის რექტორს ევალება:

ა) უნივერსიტეტისა და მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობა,

ბ) სათანადო წესით დამტკიცებულ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმების ცხოვრებაში გატარება,

გ) შინაგანაწესისა და სამეცადინო ცხრილის დამტკიცება,

დ) სტუდენტებისა და ასპირანტების მიღება, გამოშვება და დათხოვა,

ე) პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა და მათი დათხოვა,

ვ) უნივერსიტეტის საბჭოს გაფორმება განსახკომის დადგენილების საფუძველზე და ფაკულტეტების საბჭოების შემადგენლობისა და მათი დადგენილების დამტკიცება,

ზ) უნივერსიტეტის ფულადი სალარებისა და ქონების განკარგულება, სტიპენდიების დანიშვნა და სტუდენტთა, მასწავლებელთა და უნივერსიტეტის სხვა მუშაკთა ყოფა-ცხოვრებითი მომსახურეობის ორგანიზაცია,

თ) სტუდენტების, ასპირანტების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების მიმართ მსჯავრდადება კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში,

ი) უნივერსიტეტის რექტორს ყავს ორი მოადგილე სას-

წავლო-სამეცნიერო და ადმინისტრატიულ-სამეურ-ნეო დარგში, რომლებიც ინიშნებიან განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით.

უნივერსიტეტის საბჭო

17. უნივერსიტეტის რექტორთან არსებობს საბჭო, რომელსაც ამტკიცებს განსახკომი, საბჭოში შედიან: რექ-ტორი, მისი-მოადგილენი, ფაკულტეტების დეკანები, სამეც-ნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დირექტორები, გამომ-ცემლობის გამგე, ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის დირექ-ტორი, სამეცნიერო მუშაკთა სექციის ადგილობრივ ბიუ-როს, უნივერსიტეტის პარტიული და პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და განსახკომის წარმომადგენელი.

18. საბჭოს თავმჯდომარე არის უნივერსიტეტის რექ-ტორი.

19. საბჭოს დაკისრებული აქვს სასწავლო გეგმებისა და ძირითად პროგრამულ-მეთოდურ საკითხების, სამეც-ნიერო-საკვლევო ინსტიტუტების თემატიკის განხილვა და უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობის შეჯა-მება, დეკანების წარდგენით სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭება განსახკომის შემდგომი დამტკიცებით თანახმად სსრკ ცაკის 1934 წლის 13/1 დადგენილებისა.

20. საბჭოს მუშაობა ტარდება პლენარულ სხდომების სახით, რომელთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ სამისა წლის განმავლობაში.

21. საბჭოს დადგენილებები ძალაში შედიან რექტო-რის მიერ დამტკიცების შემდეგ.

დ ე კ ა ნ ი

22. ფაკულტეტის სათავეში დგას დეკანი, რომელიც ანხორციელებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მუ

შაობის უშუალო ხელმძღვანელობა'ს და ამ მუშაობის ერთ-პიროვნულად პასუხისმგებელია რექტორი'ს წინაშე.

23. ფაკულტეტის დეკანს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი განსახკომის შემდგომი დამტკიცებით პროფესორის წოდების მქონე პირთაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პროფესორის წოდების არმქონე პირის დანიშვნა დეკანად შეიძლება მხოლოდ განსახკომის სპეციალური ნებართვით.

24. დეკანს ევალება:

ა) ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო საკვლევო მუშაობის ხელმძღვანელობა,

ბ) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავების ხელმძღვანელობა, მათი წარდგენა საბჭოში განსახილველად და რექტორისათვის დასამტკიცებლად,

გ) სტუდენტთა ცოდნის შემოწმების ხელმძღვანელობა,

დ) ფაკულტეტის მთელი სასწავლო-საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობა იმ ფარგლებში, რომელიც დაწესებულია სპეციალურ დებულებითა და რექტორის ბრძანებებით,

ე) ფაკულტეტის საღსრების განკარგულება დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

ფაკულტეტის დეკანს ყავს მოადგილე — ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის გამგე და თანაშემწე სამეურნეო-საფინანსო ნაწილში.

ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი ს ს ა ბ ჭ ო

25. ფაკულტეტის დეკანატთან არსებობს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს რექტორი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ფაკულტეტის დეკანი, მისი მოადგილე, თანაშემწე, ფაკულტეტის ყველა კათედრების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების გამგეები, ინსტიტუტების დირექტორები და ფაკულტეტის პროფესიონალურ-პარტიულ

ორგანიზაციის და სათანადო კომისარიატებისა და უწყებათა წარმომადგენელნი.

26. ფაკულტეტის საბჭოს მოვალეობას შეადგენს:

ა) ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი და საწარმოო მუშაობის გეგმების განხილვა,

ბ) სტუდენტთა და ასპირანტთა სწავლების მიმდინარეობისა და შედეგების განხილვა,

გ) სადიპლომო შრომების თემების განხილვა,

დ) კათედრების, ლაბორატორიების, კაბინეტების გამგეების მოხსენების მოსმენა,

ე) საწარმოო პრაქტიკის საკითხების განხილვა,

ვ) სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის მისაკუთნებელ კანდიდატების წისასწარი განხილვა,

ზ) ფაკულტეტის საბჭოსთან არსებობს საკვალიფიკაციო კომისია, რომელშიც შედიან უნივერსიტეტის საბჭოს წევრები მოცემულ ფაკულტეტიდან. ამ კომისიის ფუნქციას შეადგენს სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭება.

სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი

27. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც ანსორციელებს ინსტიტუტის სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობასა და ერთპიროვნულად პასუხს აგებს უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ხოლო სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას ათანხმებს ფაკულტეტის დეკანთან.

28. ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორების ან ინსტიტუტის ნამდვილ წევრების შემადგენლობიდან ⅔ უდგენს დასამტკიცებლად განსახილველ.

29. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ხელმძღვანელობა და

ერთმმართველობის პრინციპზე. უნივერსიტეტის რექტორი პირადად პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საქმიანობისათვის განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე.

15. უნივერსიტეტის რექტორი ინიშნება და თავისუფლდება თანამდებობიდან განათლების სახალხო კომისარის ბრძანებით.

რ ე ქ ტ ო რ ი

16. უნივერსიტეტის რექტორს ევალება:

ა) უნივერსიტეტისა და მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობა,

ბ) სათანადო წესით დამტკიცებულ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმების ცხოვრებაში გატარება,

გ) შინაგანაწესისა და სამეცადინო ცხრილის დამტკიცება,

დ) სტუდენტებისა და ასპირანტების მიღება, გამოშვება და დათხოვა,

ე) პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა და მათი დათხოვა,

ვ) უნივერსიტეტის საბჭოს გაფორმება განსახკომის დადგენილების საფუძველზე და ფაკულტეტების საბჭოების შემადგენლობისა და მათი დადგენილების დამტკიცება,

ზ) უნივერსიტეტის ფულადი საღსრებისა და ქონების განკარგულება, სტიპენდიების დანიშვნა და სტუდენტთა, მასწავლებელთა და უნივერსიტეტის სხვა მუშაკთა ყოფა-ცხოვრებითი მომსახურეობის ორგანიზაცია,

თ) სტუდენტების, ასპირანტების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების მიმართ მსჯავრდადება კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში,

ი) უნივერსიტეტის რექტორს ყავს ორი მოადგილე სას-

წავლო-სამეცნიერო და ადმინისტრატიულ-სამეურ-ნეო დარგში, რომლებიც ინიშნებიან განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით.

უნივერსიტეტის საბჭო

17. უნივერსიტეტის რექტორთან არსებობს საბჭო, რომელსაც ამტკიცებს განსახკომი, საბჭოში შედიან: რექ-ტორი, მისი-მოადგილენი, ფაკულტეტების დეკანები, სამეც-ნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დირექტორები, გამომ-ცემლობის გამგე, ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის დირექ-ტორი, სამეცნიერო მუშაკთა სექციის ადგილობრივ ბიუ-როს, უნივერსიტეტის პარტიული და პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და განსახკომის წარმომადგენელი.

18. საბჭოს თავმჯდომარე არის უნივერსიტეტის რექ-ტორი.

19. საბჭოს დაკისრებული აქვს სასწავლო გეგმებისა და ძირითად პროგრამულ-მეთოდურ საკითხების, სამეც-ნიერო-საკვლევო ინსტიტუტების თემატიკის განხილვა და უნივერსიტეტის სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობის შეჯა-მება, დეკანების წარდგენით სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭება განსახკომის შემდგომი დამტკიცებით თანახმად სსრკ ცაკის 1934 წლის 13/1 დადგენილებისა.

20. საბჭოს მუშაობა ტარდება პლენარულ სხდომების სახით, რომელთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ სამისა წლის განმავლობაში.

21. საბჭოს დადგენილებები ძალაში შედიან რექტო-რის მიერ დამტკიცების შემდეგ.

დ ე კ ა ნ ი

22. ფაკულტეტის სათავეში დგას დეკანი, რომელიც ანხორციელებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მუ

შაობის უშუალო ხელმძღვანელობა'ს და ამ მუშაობის ერთ-პიროვნულად პასუხისმგებელია რექტორი'ს წინაშე.

23. ფაკულტეტის დეკანს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი განსახკომის შემდგომი დამტკიცებით პროფესორის წოდების მქონე პირთაგან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. პროფესორის წოდების არმქონე პირის დანიშვნა დეკანად შეიძლება მხოლოდ განსახკომის სპეციალური ნებართვით.

24. დეკანს ევალება:

ა) ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო საკვლევო მუშაობის ხელმძღვანელობა,

ბ) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავების ხელმძღვანელობა, მათი წარდგენა საბჭოში განსახილველად და რექტორისათვის დასამტკიცებლად,

გ) სტუდენტთა ცოდნის შემოწმების ხელმძღვანელობა,

დ) ფაკულტეტის მთელი სასწავლო-საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობა იმ ფარგლებში, რომელიც დაწესებულია სპეციალურ დებულებითა და რექტორის ბრძანებებით,

ე) ფაკულტეტის საღსრების განკარგულება დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

ფაკულტეტის დეკანს ყავს მოადგილე — ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის გამგე და თანაშემწე სამეურნეო-საფინანსო ნაწილში.

ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი ს ს ა ბ ჭ ო

25. ფაკულტეტის დეკანატთან არსებობს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს რექტორი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ფაკულტეტის დეკანი, მისი მოადგილე, თანაშემწე, ფაკულტეტის ყველა კათედრების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების გამგეები, ინსტიტუტების დირექტორები ⁄ ფაკულტეტის პროფესიონალურ-პარტიულ

ორგანიზაციის და სათანადო კომისარიატებისა და უწყებათა წარმომადგენელნი.

26. ფაკულტეტის საბჭოს მოვალეობას შეადგენს:

ა) ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი და საწარმოო მუშაობის გეგმების განხილვა,

ბ) სტუდენტთა და ასპირანტთა სწავლების მიმდინარეობისა და შედეგების გახხილვა,

გ) სადიპლომო შრომების თემების განხილვა,

დ) კათედრების, ლაბორატორიების, კაბინეტების გამგეების მოხსენების მოსმენა,

ე) საწარმოო პრაქტიკის საკითხების განხილვა,

ვ) სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის მისაკუთნებელ კანდიდატების წისასწარი განხილვა,

ზ) ფაკულტეტის საბჭოსთან არსებობს საკვალიფიკაციო-კომისია, რომელშიც შედიან უნივერსიტეტის საბჭოს წევრები მოცემულ ფაკულტეტიდან. ამ კომისიის ფუნქციას შეადგენს სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭება.

სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი

27. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც ანსორციელებს ინსტიტუტის სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობასა და ერთპიროვნულად პასუხს აგებს უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ხოლო სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას ათანხმებს ფაკულტეტის დეკანთან.

28. ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორების ან ინსტიტუტის ნამდვილ წევრების შემადგენლობიდან ტ უდგენს დასამტკიცებლად განსახკომს.

29. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ხელმძღვანელობა და

ბ) მუშაობის გეგმის დროული შესრულების უზრუნველყოფა,

ბ) ინსტიტუტებზე მიმაგრებულ ასპირანტების მუშაობის ხელმძღვანელობა,

გ) ინსტიტუტის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობა,

დ) ინსტიტუტის საღსრების განკარგულება დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

კ ა თ ე დ რ ი ს გ ა მ გ ე

30. კათედრის გამგეების შერჩევა ხდება კონკურსის საშუალებით იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ პროფესორის სამეცნიერო წოდება; მათ ნიშნავს განათლების სახალხო კომისარი რექტორის წარდგენის საფუძველზე.

31. კათედრის გამგე ხელმძღვანელობს სწავლების ორგანიზაციას კათედრაში შემავალ დისციპლინებში, კათედრის წევრების სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისა და ერთპიროვნულად პასუხისმგებელია კათედრაში შემავალ დისციპლინების სწავლების დაყენებისათვის და აგრეთვე სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისა და სადიპლომო შრომების შესრულების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის. მის ფუნქციას შეადგენს აგრეთვე კათედრის თანამშრომელთა თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევა და დეკანის მეშვეობით რექტორთან წარდგენა დასამტკიცებლად.

რეჟიმი და სასწავლო საქმის ორგანიზაცია

32. უნივერსიტეტის საქმიანობის რეჟიმს საფუძვლად ედება:

ა) სასწავლო გეგმები და პროგრამები კანონით გათვალისწინებულ წესით დამტკიცებული,

ბ) აკადემიურ მეცადინეობის ცხრილი დამტკიცებული რექტორის მიერ,

გ) შინაგანაწესი, რომელსაც დაადგენს რექტორი ამ წესდების საფუძველზე.

33. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად: შემოდგომის სემესტრი 1-ლი სექტემბრიდან 1-ლ თებერვლამდე, გაზაფხულის სემესტრი 1-ლი თებერვლიდან 1-ლ სექტემბრამდე.

შენიშვნა: ზამთრის შვებულება შედის შემოდგომის, ხოლო ზაფხულისა გაზაფხულის სემესტრში.

34. ყოველდღიურ სავალდებულო მეცადინეობის საათების რაოდენობა მტკიცდება სასწავლო გეგმის დამტკიცების დროს. აკადემიური საათის რაოდენობა ოდრის 50 წუთს, ამასთან ერთად თითოეულ საათის შემდეგ წესდება 10 წუთიანი შესვენება.

35. ყველა სახის მეცადინეობაზე გარდა ფაკულტეტიურისა დასწრება სტუდენტებისათვის სავალდებულოა. მეცადინეობის გაცდენა, სტუდენტებისა და მასწავლებლების მხრივ, გამოიწვევს მსჯავრდადებას საკავშირო ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე.

36. მოსწავლეებს შინაგანაწესისა და სასწავლო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში დაედებაო შემდეგი დისციპლინარული მსჯავრდადება დეკანის მიერ:

ა) გაფრთხილება,

ბ) სიტყვიერი საყვედური,

გ) რექტორის მიერ წერილობითი საყვედური,

დ) სტიპენდიის მოხსნა,

ე) გარიცხვა, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლების აღკვეთით 1-დან 5 წლამდე.

37. პედაგოგიური პერსონალისა და სხვა თანამშრო-

მელთა მიერ უნივერსიტეტის რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში მათ დაედებათ მსჯავრდადება თანახმად არსებული კანონმდებლობისა.

სასწავლო მუშაობის მეთოდები

38. სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულია სწავლების შემდეგი ძირითადი მეთოდები:

ა) ლექციები,

ბ) სემინარული და პროსემინარული,

გ) მუშაობა ლაბორატორიებში, კაბინეტებში, მუზეუმში, სასწავლო ექსკურსიები, აკადემიური-სასწავლო პრაქტიკა და სხვა სახის პრაქტიკული მეცადინეობა, მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით. სწავლებას საფუძვლად ედება სტუდენტის ინდივიდუალური დამოუკიდებელი მუშაობა და მასწავლებლის სრული პასუხისმგებლობა სწავლების დაყენებისათვის.

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა

39. საწარმოო პრაქტიკა არის სტუდენტთა მომზადების განუყოფელი ნაწილი და ტარდება პედაგოგიური პერსონალის უშუალო ხელმძღვანელობით.

40. საწარმოო პრაქტიკის გავლის ვადები და წესი გაითვალისწინება სასწავლო გეგმებით და პროგრამებით.

41. ფაკულტეტის დეკანები პასუხისმგებელნი არიან რექტორის წინაშე, საწარმოო პრაქტიკის გასავლელად საჭირო ადგილებით სტუდენტების დროულად უზრუნველყოფისათვის.

42. საწარმოო პრაქტიკის ჩატარების პირობები ამათუიმ წარმოებაში და დაწესებულებაში მოწესრიგდება მათთან სპეციალური ხელშეკრულებით. ხელშეკრულებებმა უნდა უზრუნველყონ საწარმოო პრაქტიკის მიზანშეწონილი ჩატარება.

სტუდენტთა აკადემიური წარმატების შემოწმება

43. სტუდენტთა აკადემიური წარმატების შეფასებისა და კურსიდან კურსზე გადაყვანის წესები განისაზღვრება განსახკომის მითითებათა საფუძველზე რექტორის მიერ დაწესებული ინსტრუქციით.

44. სასესიო საგნები მტკიცდება სასწავლო გეგმასთან ერთად. ყველა დანარჩენ დისციპლინებში, რომელნიც სასესიოდ არ არიან ცნობილი იწარმოებს სისტემატური შემოწმება მეცადინეობის დროს. მიმდინარე აღრიცხვის წარმოება სავალდებულოა აგრეთვე სასესიო საგნებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დანიშნულ იქნეს კოლოქვუმები, საკონტროლო სამუშაოები და სხვა.

45. სწავლების უკანასკნელ კურსზე თითოეული სტუდენტი ვალდებულია დაამუშაოს სადიპლომო შრომა და დაიცვას გათვალისწინებული წესით.

46. სტუდენტთა შეფასების პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესორ-მასწავლებლებს და კათედრის გამგეებს.

ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი

47. უნივერსიტეტში შესვლის უფლებებით სარგებლობენ ყველა მშრომელები და მათი შვილები 17 წლიდან 35 წლამდე.

48. უნივერსიტეტის სტუდენად ჩასარიცხავად საჭიროა შემდეგი პირობები:

ა) გამოცდების ჩაბარება მათემატიკაში, ფიზიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიაში და სამოქალაქო ისტორიაში განსახკომის მიერ დამტკიცებულ პროგრამების ფარგლებში.

ბ) ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხელს

არ შეუშლის სტუდენტის, როგორც თეორიულ მეცადინეობას, ისე საწარმოო პრაქტიკის გავლას.

49. სტიპენდიებს ნიშნავს თითოეულ სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის რექტორი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის წარდგენით.

50. ის პირები, რომელნიც შეასრულებენ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას და დაიცავენ სადიპლომო შრომას, ჩაითვლებიან უნივერსიტეტის კურს დამთავრებულად და მიიღებენ დიპლომს წარმატების დახასიათებით და სპეციალობის აღნიშვნით.

51. უნივერსიტეტის კურსის სრულ დამთავრებამდის წასულად ითვლებიან შემდეგი პირები:

ა) უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევისათვის,

ბ) ის პირები, რომელთაც რაიმე ბოროტმოქმედებისათვის სასამართლოს მიერ მიესჯება ისეთი სოციალური თავდაცვის ღონისძიება, რომელიც შეუძლებლად ხდის სტუდენტის უნივერსიტეტში დარჩენას,

გ) აკადემიური ჩამორჩენისათვის გარიცხულნი,

დ) ვინც ჩაიბარებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგნებს, მაგრამ არ დაიცავს, ან მეორედ სადიპლომო შრომის წარმოდგენის შემდეგ მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ის პირები, რომელნიც პირველად ვერ დაიცავენ სადიპლომო შრომას, ან დაცვის დროს მიიღებენ არა დამაკმაყოფილებელ ნიშანს—მეორე ვადის დამთავრებამდის სტუდენტის უფლებას არ კარგავენ, მაგრამ მათ ეხსნებათ სტიპენდია და გამოსახლდებიან საერთო საცხოვრებლიდან.

Г 15442

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

52. უნივერსიტეტში ასპირანტად მიღება და ასპირანტურის გავლა წესრიგდება საკავშირო სახკომსაბჭოს 1934 წლის 13 იანვრის დადგენილებით მეცნიერულ და მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაკების მომზადების შესახებ.

პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა

53. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა იყოფა შემდეგნაირად: პროფესორები, დოცენტები, ასისტენტები და ენისა, სამხედრო საგანთა და ფიზკულტურის მასწავლებლები.

54. პროფესორები და დოცენტები ინიშნებიან უნივერსიტეტის რექტორის მიერ იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც მიღებული აქვთ სამეცნიერო წოდება თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს 1934 წლის 13 იანვრის დადგენილებისა „მეცნიერულ ხარისხისა და წოდების შესახებ.“

55. ასისტენტები და მასწავლებლები ინიშნებიან უნივერსიტეტის რექტორის მიერ სათანადო კათედრის გამგისა და ფაკულტეტის დეკანის წარდგენით.

56. უნივერსიტეტში გამოიყოფა განსაკუთრებული ფულადი ფონდი იმ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის დასაჯილდოებლად, რომლებმაც გვიჩვენეს სასწავლო საქმიანობის მაღალი ხარისხი და რომელნიც ითვლებიან მოწინავეებად უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ მეცნიერულ და სხვა მუშაობაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები

57. უნივერსიტეტში არსებობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორც პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის, ისე სტუდენტებისა-

ოვის; მეცნიერულ და კულტურულ საყოფაცხოვრებო ხაზით არსებობს კომისიები, წრეებისა და სხვათა სახით.

უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეწევიან პოლიტიკურ კულტურულ-საყოფაცხოვრებო სამეცნიერო და სასწავლო მუშაობას და ამასთანავე ისინი ეხმარებიან უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულების საქმეში და სასწავლო დისციპლინისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ რექტორის, ფაკულტეტის დეკანებისა და კათედრის გამგეების სასწავლო ადმინისტრატიულ განკარგულებებში.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა

გამომშვები, ტექრედაქტორი და
კორექტორი: ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი.

მთავლიტი № დ—51
შეკვ. № 627.
ტირაჟი 370

ტ. ს. უნივერსიტეტის გამომცემლობა, უნივერსიტეტის ქ. № 1.